

## გალოზის გამშვენების საკითხისათვის ქართულ საბალოზო პრაქტიკაში

ქართული საეკლესიო გალობა, ემორჩილება რა ზოგადად მართლმადიდებლური საეკლესიო გალობის კანონიკას, იმავდროულად კანონიკისა და ორიგინალურ თავისებურებათა ერთგვარ შენაერთს წარმოადგენს. თავისებურება ვლინდება მრავალხმიანობაში, რაც ქართულმა გალობამ ეროვნული მუსიკალური ცნობიერების ნიადაგზე შეითვისა. მრავალხმიანობა ქართული გალობის ბუნება, მისი იერსახეა და გალობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მეტ-ნაკლებად ამ თავისებურებას ეხმიანება.

ქართული საეკლესიო გალობის ინტენსიური კვლევის მიუხედავად, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შეუცნობელი რჩება. ამ საკითხთა რიგს განეკუთვნება ქართული გამშვენებული გალობის ფენომენიც. წარსული დროის მგალობელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი ავლენს მისი ბუნების გაურკვევლობას – რა არის იგი – თავისუფალი იმპროვიზაცია, ფიცხი ფანტაზიის ნამოქმედარი, თუ გარკვეულ კანონებზე დაფუძნებული გალობის სტილი? ე. კერესელიძის განმარტების მიხედვით: „კილოს საგალობელს თავისი ბუნებითი გზა აქვს თავითგან ბოლომდის. ხოლო გამშვენებას... ერთი ნიადაგი არა აქვს... ყოველ ნიჭიერ კაცს კილოს მიხედვით სხვადასხვანაირად შეუძლია გაამშვენოს და გაავარდიშოს“ (კერესელიძე, 1900:189). გალობის გამშვენება მგალობლის უნარსა და შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. იგი თავად ხვდებოდა, თუ „სად რანაირი ვარდიში და ხმის ტრიალი გაეწყობა“ (კერესელიძე, 1900:190). ეს თავისთავად გალობის გამშვენების იმპროვიზაციულ საწყისზე მიგვანიშნებს, მაგრამ რამდენადაც ეკლესიის წიაღში ყოველი კანონიკაზეა დაქვემდებარებული და გამოორიცხავს შემთხვევითობას, კილოს გავარჯიშებაც ვერ მიიღებდა სპონტანურ ხასიათს. კერესელიძე არაერთგვარად აღნიშნავს, რომ „კილო არის საფუძველი გალობისა, რომლის ძარღვზედ ყველა ხმის მიმოხვრანი დამოკიდებულ არიან“ (კერესელიძე, 1900:189). ამრიგად, მიუხედავად იმპროვიზაციულობისა, კანონიკური ჰანგის ზოგადი კანონზომიერებები მეტ-ნაკლებად მაინც განსაზღვრავს გამშვენების ხარისხს.

ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს: ნევმირებული ძლისპირი „ზღვისა მხეცისა მუცელსა“ მიქაელ მოდრეკილის იადგარიდან და იგივე ძლისპირი ფ. ქორიძის მიერ ნოტებით ჩანერილი საგალობლებიდან. უეჭველია, რომ X საუკუნის ნევმირებულ ჰიმნში ნევმებით ჩანერილი იქნებოდა კანონიკური ჰანგი. აღნიშნული ძლისპირის ნევმური აღკაზმულობა კი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში მეოთხე-მეშვიდე ფრაზებში ზუსტად მეორდება ნევმების თანმიმდევრობა და ამასთანავე, ზუსტადაა დაცული ინტერვალი (ანუ სიტყვიერი ტექსტის უნიშნო მარცვლების რაოდენობა) ნევმებს შორის:

და გამოაჩინა: უზეშთაესი ბუნებისა აღდგომაი:

წარმოგდებითა მით: ვნებულისა მის ხორციტა ქრისტეს ღმრთისა:

(გვახარია, 1978:38).

ნევმების ასეთი ზუსტი განმეორებადობა გვაფიქრებინებს, რომ ამ ფრაზების შესაბამისი ჰანგიც ერთმანეთის იდენტური იქნებოდა. ნოტებით ჩანერილ საგალობელში, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამშვენებული გალობის ნიმუშია, ნევმური ფორმულის შესაბამის მუხლებში, თვით გამშვენების ადგილებშიც კი, ზუსტადაა შენარჩუნებული მელოდიური ნახაზი. იხ. დანართი, მაგალითი 1 (ქორიძე, 1913:322).

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, კანონიკურ მელოდიაში ჰანგის განმეორებადობამ განაპირობა გამშვენებული ადგილების იდენტურობაც, ანუ ძირითადი კილოს კანონზომიერებამ დაიქვემდებარა იმპროვიზაციული ელემენტები.

გავარჯიშებული გალობის კანონზომიერებების დასადგენად საჭიროა ჯერ მისი წარმოშობის მიზეზებს მივაკვილოთ. ღვთისმსახურებაში მომხდარი ყველა ცვლილება საეკლესიო საჭიროებით იყო გამოწვეული. კილოს გავარჯიშებასაც მხოლოდ ესთეტიკური კატეგორიის მოვლენებს ვერ მივაკუთვნებთ, არამედ აუცილებლად იარსებებდა მიზეზი, რომელიც დაუშვებდა ჰანგის გამშვენებას.

ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა ვეძიოთ ჰიმნოგრაფების მიერ საგალობლის სიტყვიერი ტექსტისა და ჰანგის ურთიერთშერწყმის ხელოვნებაში. ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ტექსტსა და მუსიკას შორის სწორი ბალანსის შენარჩუნებას. ჰიმნის მნიშვნელოვანი სიტყვები, მათი გამახვილების მიზნით, ხაზგასმული იყო მუსიკალურადაც – მათ ამკობდნენ ორნამენტით, ანუ ამშვენებდნენ. ამრიგად, მარტივი კილოს ფარგლებში ადგილი ჰქონდა გამშვენების მომენტს. აქცენტირებული სიტყვები გულდასმით შეირჩეოდა და აქედან გამომდინარე, ორნამენტიც განსაზღვრულ ადგილზე იქნებოდა განთავსებული. ვფიქრობთ, საკუთრივ გამშვენებულ გალობასაც სიტყვათა შერჩევისა და მათი ხაზგასმით ორნამენტული შესრულების მეთოდი დაედებოდა საფუძვლად, ანუ გამშვენებულ გალობაშიც, ხმის უსიტყვო ტრიალი არა ნებისმიერ, არამედ განსაზღვრულ ადგილას იქნებოდა ჩართული.

სიტყვისა და ჰანგის ურთიერთშერწყმის ასეთი ტექნიკა არც ქართველი ჰიმნოგრაფებისთვის იყო უცხო. ქართულ საგალობლებზე დაკვირვებამ ცხადყო სადა და გამშვენებული გალობის ნიმუშებში სიტყვათა შერჩევის ამგვარი მეთოდის მოქმედება. ე. კერესელიძის მიერ ნოტებზე გადატანილი საგალობლები ამ საკითხის გარკვევისათვის დიდ შესაძლებლობებს ქმნის, ვინაიდან მასში მთელი რიგი საგალობლებისა მოცემულია ორგვარად – მარტივი და გავარჯიშებული სახით. მათი შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ

შესაბამისობა მარტივ კილოში გამშვენებასა და საკუთრივ გამშვენებულ გალობას შორის, ანუ რამდენად ემორჩილება გამშვენებული კილო სიტყვათა შერჩევის მეთოდს. აღმოჩნდა, რომ გამშვენებულ ვარიანტში ხმის ტრიალი, ანუ გავარჯიშება ხდება სწორედ იმ სიტყვებზე, რომლებიც შედარებით ხაზგასმითაა გამღერებული მარტივ კილოში. მაგალითისთვის წარმოვადგენთ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის ძლისპირის „კიდობანსა მას სჯულისასა“ მარტივ და გავარჯიშებულ ვარიანტებს. მარტივ კილოში ნათლად გამოიყოფა მეტნაკლებად გამშვენებული მონაკვეთები სიტყვებზე: „შეეხებოდა“, „აქა“, „გაბრიელ“, „შენ თანა“. იხ. მაგალითი 2 (კერესელიძე, 1900:417). გამშვენებულ გალობაში კი, სადაც მგალობელს შეეძლო თავისი სმენისა და ნიჭისამებრ გავარჯიშებინა კილო და იმპროვიზაციულობის მეტი თავისუფლება იყო მოსალოდნელი, ხმის გავარჯიშება მაინც მარტივ კილოში შერჩეულ სიტყვებზე მოხდა. იხ. მაგალითი 3 (კერესელიძე, 1900:413).

ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ამაღლების ძლისპირში „ჰშვე ქალწულო“. ორივე, მარტივ და გამშვენებულ ვარიანტში, ხაზგასმულია ერთი და იგივე მონაკვეთი: ფრაზა „ბუნებათა უჟამოდ გამოუთქმელი“ და სიტყვა „უბინო“. იხ. მაგალითი 4 და 5 (კერესელიძე, 1900:619, 615).

როგორც ვხედავთ, მარტივ კილოში შერჩეული ადგილები თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს გამშვენებულ გალობაშიც, გამშვენებული კილო კი, მიუხედავად იმპროვიზაციულობისა, ემორჩილება მარტივი კილოს კანონზომიერებებს და ხმის ტრიალი საგალობლის სტრუქტურაში განთავსებულია სწორედ იმ მონაკვეთებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხაზგასმულია მარტივ კილოში.

ამრიგად, გამშვენებულ გალობაში ხმის გავარჯიშების ადგილი განსაზღვრული იყო და ამ მხრივ მგალობლის თავისუფლება რამდენადმე იზღუდებოდა. ეს ფაქტი დასტურდება განსხვავებულ წყაროებში მოძიებული საგალობლების შედარებითაც. მაგალითად, ამაღლების ძლისპირი „ჰშვე ქალწულო“ დაფიქსირებულია იოანე მრევლიშვილის სამუსიკო ნიშნებით აღკაზმულ ხელნაწერშიც H657. მასში ეს ძლისპირი ჩანერილია ორგვარად – ჩვეულებრივი სახით და ტექსტში ჩართული ფონემებით, რაც მიუთითებს გალობის სადა და გავარჯიშებულ კილოზე. წყაროებისა და ჩანერის დროის განსხვავებულობის მიუხედავად (ე. კერესელიძის საგალობლები ჩანერილია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო იოანე მრევლიშვილის ხელნაწერი მიეკუთვნება XIX საუკუნის დასაწყისს), გამშვენებული ვარიანტების შედარებამ საგულისხმო დამთხვევები გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ გამშვენება, ორივე წყაროში, ძირითადად ერთსა და იმავე ადგილას ხდება. კერძოდ, ნოტირებულ საგალობელში გავარჯიშებული ფრაზა „ბუნებათა უჟამოდ გამოუთქმელი“ გამშვენებულია ნევმირებულ ძლისპირშიც:

ბუნეიებაათააუიუჟაჰაია ია აია მოიო/ოი-ოიო ოი ოიდ გაამოუვი უი უი უი უუ უთუქმელი (მრევლიშვილი, 1812:48r).

რაც შეეხება სიტყვას „უბინო“, მასზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ეს სიტყვა ნევმირებულ ძლისპირში რატომღაც ამოვარდნილია.

კიდევ უფრო მკაფიოა დამთხვევები ბზობის ძლისპირში „ღმერთი უფა-

ლი“, რომელიც ასევე სხვადასხვა ვარიანტითაა დაფიქსირებული ორივე წყაროში. ნოტირებულ საგალობელში გავარჯიშებულია სიტყვები: „ბაიათა“, „რტოებითა“, „ქებისმეტყველთა“. იხ. მაგალითი 6 (კერესელიძე, 1900:530).

ნევმირებულ ძლისპირშიც, სწორედ ამ სიტყვებში დიდი რაოდენობითაა ჩართული დამატებითი ფონემები:

ბიუვიიი აიაქაიააი აააააი/ ბაიიიი იი იი იუვი იათა და რტოებითა აუვი  
იი ქეიეიეი ეეი ეე ეუ ვიე ეეეეეი ეიეე ეიეე ქებისმეტყვე ეუვიაჰა აი  
ააჰეი აა აი ქებისმეტყვე ეუვიიეი ექეი ეეეეი ეეეეელთა (მრეველიშვილი,  
1812;18v).

საყურადღებოა ისიც, რომ ამ ძლისპირის სხვადასხვა წყაროს გავარჯიშებულ ვარიანტებში ერთნაირია გამშვენების პრინციპიც. კერძოდ, „ბაიათა“-სა და „ქებისმეტყველთა“-ს შემთხვევაში საკუთრივ სიტყვებია გავარჯიშებული, ხოლო სიტყვა „რტოებითა“ ორივე შემთხვევაში სადად გაიმღერება, ხმის ტრიალი კი ხდება სიტყვის შემდეგ.

სიტყვათა შერჩევის მეთოდზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი. როგორც აღვნიშნეთ, ნოტირებულ და ნევმირებულ დასახელებულ ხელნაწერებში „ღმერთი უფალი“-ს ოთხი ვარიანტია მოცემული – ორი სადა და ორი გამშვენებული. ოთხივე ჩანაწერში გამოიყოფა საერთო სიტყვა, რომელიც მკაფიოდაა აქცენტირებული ყველა ვარიანტში. ესაა სიტყვა „ბაიათა“, რომლითაც იწყება ხმის ტრიალი ორივე ხელნაწერის გამშვენებულ ვარიანტში, რომელიც მეტნაკლებად გავარჯიშებულია ნოტირებულ მარტივ კილოში, ხოლო ნევმირებულ სადა გალობაში ეს სიტყვა გამოიყოფა ნიშანთა სიუხვით (კერძოდ წერტილთა კომბინაციებით) როგორც სტრიქონს ზემოთ, ასევე სტრიქონს ქვემოთ: ბაიათა. გარდა ამისა ძლისპირი, „ღმერთი უფალი“ მოვიძიეთ ამბროსი ნეკრესელის სამუსიკო ნიშნების შემცველ ხელნაწერშიც (Q845. XVIII ს.), სადაც იგი თითქმის მთლიანად მოკლებულია ნევმურ აღკაზმულობას, გარდა ერთი გამონაკლისისა: მთელ ძლისპირში სამუსიკო ნიშნები გვხვდება ერთ სიტყვაზე – „ბაიათა“ და რაც საინტერესოა მასზე დასმულია ერთბაშად ოთხი ნიშანი – ორ-ორი სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ: ბაიათა. ცხადია, რომ ამ ვარიანტშიც ეს სიტყვა განსაკუთრებულად გაიმღერებოდა. ამრიგად, სიტყვა „ბაიათა“ ხუთივე ნიმუშში აქცენტირებულია, რაც, ერთი მხრივ, მიუთითებს საგალობელში მის მნიშვნელობაზე, მეორე მხრივ კი, გვიდასტურებს სიტყვათა შერჩევის მეთოდის მოქმედებას როგორც მარტივ, ასევე გავარჯიშებულ კილოში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გამშვენების ტექნიკა სხვადასხვა სამგალობლო სკოლაში ერთნაირი იყო. გულდასმით შეირჩეოდა მნიშვნელოვანი სიტყვები, რომელთა ხაზგასმაც მელოდიის განსაკუთრებულ ხვეულებს საჭიროებდა და ხმის ტრიალიც განსაზღვრულ ადგილას თავსდებოდა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სხვადასხვა წყაროს საგალობლებში გამშვენებული მონაკვეთები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. რაც შეეხება მუსიკალურ მხარეს, ამ შემთხვევაში მაგალობელი უკვე თავისი ნიჭისა და უნარის შესაბამისად გაამშვენებდა. ამრიგად, კანონიკის და იმპროვიზაციის შერწყმის პროცესი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მკაცრად იყო შერჩეული გამშვენების ადგილები, მაგრამ

თავისუფლად გაიმღერებოდა შერჩეული სიტყვები. სხვა საკითხია, თუ რა ინტონაციურ მასალაზე ხდებოდა ჰანგის გამშვენება. მგალობლის იმპროვიზაციას საფუძვლად დაედებოდა ისევ და ისევ საეკლესიო მუსიკის ინტონაციური სფერო, ძირითადი კილოს შემადგენელი ბირთვები და მათი ვარიანტები, ანუ ის, რაც მგალობლის სააზროვნო წყარო უნდა გამხდარიყო. ამრიგად, გამშვენებული გალობა კანონიკის საზღვრებს არ სცილდებოდა და განსაზღვრულ კანონზომიერებებს ეფუძნებოდა.

XIX საუკუნეში გამშვენებული გალობის მიმართ მგალობელთა უარყოფითი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, იმან გამოიწვია, რომ მოხდა გალობის თვითნებური გავარჯიშება და მისი ძირითადი კანონზომიერებების დარღვევა, ანუ, „ვინც სწავლობდა, პირდაპირ გავარჯიშებულად სწავლობდა, რომ მაშინვე თქმა დაეწყო მგალობლებთან ეკლესიაში. ამ მიზნით, ვისაც პირველად სადა კილოზე არ უსწავლია გალობა, ის ყოველთვის დამორებულია გალობის ბუნებრივ სინამდვილეზე და ვერც შეატყობს თვითონ სწორეთ გალობს, კილოს შეთანხმებით, თუ არა“ (ხუნდაძე, 1911:V). რაჟდენ ხუნდაძის ეს სიტყვები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს გალობის გამშვენებისადმი, რომ არ გადავარდეს „თავისი წესიერის გზიდვან“ და არ დაიკარგოს კილო. კილოს დაკარგვა ხომ „იგივე გალობის დაკარგვა არის“ (კერესელიძე, 1900:190).

### დამონმებული ლიტერატურა

ამბროსი ნეკრესელი. (1793). *საგალობლები ნიშნებითურთ*. კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი Q845.

გვახარია, ვაჟა. (გამომცემელი). (1978) *მიქაელ მოდრეკილი. ჰიმნები. X საუკუნე*. წიგნი 2. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კერესელიძე, ექვთიმე. (1900-1932). *საგალობლები ნოტებზე. „შთასახედი“*. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი Q674.

მრევლიშვილი, იოანე. (1812). *საგალობლები ნიშნებითურთ*. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი H657.

ქორიძე, ფილიმონ. (1913). *საგალობლები ნოტებზე. საგალობლები ნიშნებითურთ*. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი Q688.

ხუნდაძე, რაჟდენ. (1911). *ქართული გალობა. ლიტურგია. პარტიტურა*. თბილისი: სტამბა მაქსიმე შარაძისა.



მაგალითი 3.  
 EXAMPLE 3.

შიე ე ხე სო და  
 she e khe so da  
 . . . . .  
 და ხე . . . . .  
 da khe . . . . .  
 შიე სო და  
 she so da

მაგალითი 4.  
 EXAMPLE 4.

ბუ ნე ბა თა უ ჯა  
 bu ne ba ta u zha  
 მოდ . . . . . გა მო უ თქმე ლი  
 mod . . . . . ga mo u tkme li  
 უ ბი თო . . . . .  
 u bi to . . . . .

